ოთხშაბათი, 12 იანვარი, 1905 წ. 1877 წელიწადი ოც-და-მეცხრე 1905 ოთხშაბათი, 12 იანვარი, 1905 წ.

გაზეთის ფასი:

12	თვით	10 მ.	— კ.
11	,,	9 ,,	50 ,,
10	,,	8 ,,	75 ,,
9	,,	8 ,,	— ,,
8	,,	7 ,,	25 ,,
7	,,	6 ,,	50 ,,
6	,,	6 ,,	— ,,
5	,,	5 ,,	50 ,,
4	,,	4 ,,	75 ,,
3	,,	3 ,,	50 ,,
2	,,	2 ,,	75 ,,
1	,,	1 ,,	50 ,,

ივერია

№ 8 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 8

წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა.

1. ხელის მოწერის დროს— 5 მ. და თიბათვის 1-ს— 5 მ.

2. ხელის მოწერის დროს— 4 მ., მარტის 1-ს— 3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.

3. ხელის მოწერის დროს— 3 მ., მარტის 1-ს— 3 მ. თიბათვის 1-ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჯარო ბიბლიოთეკა

„ივერიის გამომცემელ ამხანაგობისაგან“

„ივერიის გამომცემელი ამხანაგობა“ ამით აცხადებს, რომ კვირას, 1905 წ. 23 იანვარს, დილის 11 საათზედ ქ. ტფილისში დანიშნულია ამხანაგობის საზოგადო კრება ზუბალაშვილების სახლებში, გოლოვინის პროსპექტზედ, არტისტიულ საზოგადოების პირდაპირ. კრებამ უნდა დაამტკიცოს ამხანაგობის გამგეობის დადგენილება გაზ. „ივერიის“ გადაცემის შესახებ.

შაბათს, 15 იანვარს, სოფელ მაღაროს კარის ეკკლესიაში გადახდილი იქმნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი

თადეოზ დავითის ძის ნაცვლიშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე გარდაცვალებულისა **მელანია რევაზის-ასული ნაცვლიშვილისა** და **დანი—ელისაბედ დავითის ასული ნატროშვილისა, ალექსანდრა დავითის ასული ნაცვლიშვილის მეუღლე, ანასტასია** და **მარიამ დავითის ასულნი ნაცვლიშვილისანი** და **ბარბარე დავითის ასული კნეინა ვაჩნაძისა**

წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი 12 საათზედ (2—1).

ახალი განცხადება

1905 წლის 14 იანვრიდან

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ფასი 10 მანეთი ერთის წლით. „ივერია“ **ცალკე ნომერი 3 კაპეიკი.**

წელიწადი ოცდა მეცხრე

გამოვა **ყოველ დღე, ორშაბათობითაც**

განახლებულის რედაქციით

და ახალ თანამშრომელთა მონაწილეობით

გაზეთის ფორმატი გადიდებული იქნება

ამასთან წლიური ხელის მომწერლები მიიღებენ წლის განმავლობაში

პრემიად 12 წიგნს

შემდეგის საერთო სათაურით: „ივერიის ბიბლიოთეკა“. ამ წიგნებში მოთავსებული იქნება: ბელლეტრისტიული, პუბლიცისტური ეკონომიური და ისტორიული წერილები უმთავრესად საქართველოს ცხოვრების შესახებ, აგრეთვე ოჯახში გამოსადეგი ცნობები და დარიგებანი და სხვანი.

როგორც თვით გაზეთში, ისე საპრემიო წიგნებშიაც იქნება ხოლმე

სურათები და სხვა და სხვა **ილუსტრაციები.**

გაზეთის წლიური ფასი რჩება იგივე, რომლის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც: წლის დამდეგს 4 მან., 1 მაისს 3 მან. და 1 აგვისტოს 3 მან., ვინც ნახევარ წლით, ან თვიურად გამოიწერს, უნდა შემოიტანოს თვეში თითო მანეთი.

სახალხო სკოლების მასწავლებლებს, თვით სკოლებს და სახალხო სამკითხველოებს გაზეთი პრემიებითურთ დაეთმობათ 7 მან. ან ნახევარის წლით 4 მან., ამ შეღავათიან ხელის მომწერთაც შეუძლიანთ ნაწილ-ნაწილად გადაიხადონ ხვედრი ფული: ყოველთვე თითო მანეთი, ვიდრე სრული შემოსატანი შესრულდებოდეს.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

ტელეფონი № 63. წარმოდგენა № 13 (აბონემენტის გარეშე).

სახაზინო თეატრი

ხუთშაბათს, 13 იანვარს, 1904 წ.

ბენეფისი ნატ. მ. გაბუნია-ცაგარლია

ქართულ დრამატიულის დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება

I

ახალი პიესა

ჩვენი ნაცნობები

სცენები 1 მოქმ., თხზ. გ. დოდაშვილისა.

II

ცოლი უღელის მწეველი

დრ. 4 მოქმ. და 5 სურ., გადმ. ა. ყაზბეგის-მიერ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. **დასაწყისი საღამოს 8 საათ.**

მზადდება წარმოსადგენად: «კრიჭინა», «იულიოს კეისარი», «რუი-ბლაზი», აზიანის ახალი პიესა «სამშობლოს ბურჯნი» და სხვ.

ამხანაგობის დირექცია. მორიგი რეჟისორი ვ. აბაშიძე.

ტფილისის სახაზინო თეატრი.

ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტისტის

ლ. დ. დონსკოისა

ოთხშაბათს, 12 იანვარს,

უნივერსიტეტებისა და სხვ. უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტთა კავკასიის დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოდ

წარმოდგენილი იქმნება

კ ა რ მ ე ნ ი

ოპერა 4 მოქმ., მუს. ბიზესი.

და

საკონცერტო განყოფილება.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ვიკშემსკაია, დონსკოი-ეიხენვალდი, ორელი, ნიკიტსკაია, შიხუცკაია-მინჩენკო, ხარიტონოვისა და სხვ.; ბ-ნნი ბოგდანოვიჩი, დონსკოი, ობრაზცოვი, სპერანსკი, ზალინსკი, მურატოვი და სხვ.

ბალეტს განაგებს **ჟიოვასსი**. პრიმა-ბალერინა **ლენჩევსკაია.**

კაპელმეისტერი ნ. მიკლაშევსი.

უფროსი რეჟისორი ს. ფ. გეცევიჩი.

ფასები ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზედ.

ხუთშაბათს, 13 იანვარს,

ბენეფისი გაბუნია-ცაგარლისა

წარმოდგენილი იქმნება

I

ჩვენი ნაცნობები

სცენები 1 მოქმ., თხზ. გ. დოდაშვილისა.

II

ცოლი უღელის მწევე[ლ]ი

დრ. 3 მოქმ. და 5 სურ., გადმ. ა. ყაზბეგის-მიერ.

პარასკევს, 14 იანვარს,

წარმოდგენილი იქმნება

მანდარინის შვილი

ოპერა 1 მოქმ., მუსიკა ც. კუისა

სელსკაია ჩესტი

და

მოცარტი და სალიერი

შაბათს, 15 იანვარს,

ბენეფისი ი. პოლუიანოვისა

წარმოდგენილი იქმნება

ევგენი ონეგინი

ამ მოკლე ხანში იქმნება ბენეფისი კასირი ქალის სტრელკოვისა.

მზადდება წარმოსადგენად **«ზიაზია»**, ოპერა 3 და სურ., მუსიკა ლეონკოვალლოსი.

ბილეთები იყიდება.

გამგე ი. კელლერი.

ომის ამბები

დეპეშები და წერილები.

მანჯურია. «კენიგ. ცაიტუნგ»-ი იუწყება: მარშალმა ოიამამ გამოაცხადა, რამწამს 60 ათასი მაშველი ჯარის-კაცი მომივა, მაშინვე წინ გავილაშქრებ, რომ რუსები საბოლოოდ გავდევნო მანჯურიიდანაო (ნ. დ.).

პარიჟში ჰფიქრობენ, გენ. კუროპატკინი ამ ორიოდე დღეში გაილაშქრებს წინაო. საფრანგეთის სამხედრო წრეები ჰფიქრობენ, ამ ჟამად გენ. კუროპატკინს გაცილებით მეტი ჯარი ჰყავს იაპონელებზეო. კუროპატკინს ეხლავე შეუძლიან 340 ბატალიონით (ქვეითა ჯარით) გაილაშქროს წინ; იაპონელებს კი სულ 220 ბატალიონი ჰყავთო (ნ. დ.).

«დეილი მეილ»-ის კორესპონდენტი მუკდენზი სწერს: რუსეთ-იაპონიის ომის ბედზე ამას იქით რუსეთის შინაგან მდგომარეობასაც დიდი გავლენა ექნებაო (ნ.ვ.).

„რუსსკოე სლოვო“-ს კორესპონდენტი ნ. ობოლეშევი დეპეშით იუწყება მუკდენიდან: სწორედ შობის ორის დღის წინ სამწუხარო ცნობა მოგვივიდა,— პორტ არტური აიღესო... მართალია, ყველამ ვიცოდით, რომ ციხე დიდ გაჭირვებაში იყო, მაგრამ მაინც როგორღაც არა გვჯეროდა, თუ იაპონელები პორტ არტურს აიღებდნენ... წინა პოზიციებზე პორტ არტურის დაცემის ამბავი უფრო ადრე გაიგეს, ვიდრე მუკდენში. 20 დეკემბერს საღამოს იაპონელების პოზიციებზე საკვირველი მხიარულება შენიშნეს. იქიდან მხიარული ხმაურობა, „ბანზაის“ ყვირილი ისმოდა; გათენების ხანს ამომავალ მზის ქვეყნის ბაირაღებიც გამოჩნდა. პირველად ჩვენებმა იფიქრეს, ალბად, იაპონელები ახალ წელიწადს დღესასწაულობენო, მაგრამ მალე სოფ. ლინშინპუში ხელით სასროლი ყუმბარა მიეგდოთ და ზედ შემდეგი ბარათი ყოფილიყო დაწერილი: «გატყობინებთ, რომ ჩვენებმა პორტ არტური აიღეს. სტესელი დაგვმორჩილდა. რასაკვირველია, გეწყინებათ, მაგრამ წინადვე უნდა მზად ყოფილიყავით. ეხლა წინ გამოილაშქრეთ. ჩვენც სიამოვნებით დაგიხვდებით. იაპონიის მოქმედი არმია.»

ვლადივოსტოკი. «რუსკია ვედომოსტი»-ს 6 დეკემბერს ატყობინებდნენ ვლადივოსტოკიდან: არა თუ გარედან მოტანილი საქონელი, ადგილობრივი საქონელიც გაძვირდა. არც ციხის უფროსებმა, არც ქალაქის თვით მმართველობამ არავითარი ღონისძიება არ მიიღეს ქალაქში სანოვაგისა და საკვებ სურსათის დასამზადებლად. ქალაქის თვით-მმართველობა მდიდრებისა და კომერსანტებისაგან შესდგება, იმათი ინტერესი კი ყველაფრის გაძვირებას უფრო მოითხოვს, ვიდრე გაიაფებას. თუმცა ვლადივოსტოკს სიმშილი არ მოელის, მაგრამ ამ გაძვირებას მაინც ბოლო არ უჩანს. ვლადივოსტოკს რომ პორტ არტურის დღე დაადგეს, არა მგონია იმდენხანს გასძლოს. ბუხტა და ზღვა გაყინულია. ძლიერი ყინულის მჭრელი გემი „ნადეჟნი“ ორთქლ აშვებული დგას. ნავთ-სადგურში 4 გემი დგას. ამ გემებმა მაისში ქვა-ნახშირი მოიტანეს და საზღვაო სამინისტრომ თითონ გემები იყიდა დიდ ფასად.

წყნარ ოკეანის მესამე ესკადრა. დიდის გაჩქარებით ამზადებენ მესამე ესკადრას; თითქმის განუწყვეტლივ მუშაობენ; მუშებს გამოცდილი გემის ინჟენრები უწევენ ხელმძღვანელობას; ყოველ გემს თითო ინჟენერი ჰყავს მიჩენილი. ამ ჟამად უმავთულო ტელეგრაფს ჰმართავენ. წვრილ არტილერიას, ტყვიის მფრქვეველებს და საბრძოლ პროჟექტორებს სდგამენ; მესამე დღეა, რაც ყუმბარებს უდებენ; ნახშირის დება ჯერ არ დაუწყიათ. ამ დღეებში ყველა გემი მესამე ესკადრის უფროსად დანიშნულმა კონტრა-ადმირალმა ნებოგატოვმა დაათვალიერა. ნაღმიან გემ „გრემიაში“ სა და ტრანსპორტ „დონ“-ის გასტუმრებას ჰფიქრობდნენ, მაგრამ ჯერ არ გაუსტუმრებიათ (ნ. ვ.).

„პეტერბურგსკია ვედომოსტი“-ს ლიბავიდან ატყობინებენ: იმპერატორ ალექსანდრე მე-III პორტში ჯავშნიან გემ „ადმირალ უშაკოვ“-ზე მეტად სამწუხარო ამბავი მოხდა. ერთ მატროსს დიდი ბოთლი მიჰქონდა სპირტით, ფეხი გაუსხლტა და დაეცა; ბოთლი გატყდა, სპირტი დაიღვარა, ცეცხლისაგან იფეთქა—აქვე ახლო მუშებს ცეცხლი გაეჩინათ. ამ უბედურ შემთხვევის დროს 14 მატროსი დაშავდა.

პორტ არტური. პორტ არტური ძლიერ იყო გამაგრებული და სამხედრო წრეებს მიუვალ ციხედ მიაჩნდათ, დარწმუნებულნი იყვნენ, რომ იმისი აღება შეუძლებელი იყო...

ვინმე „პოლიტიკი“ სწერს „ნაშიდნი“-ში: „რუსკია ვედომოსტი“-ს ნიჭიერი სამხედრო მიმომხილველი ამბობს, 1903 წელს ოკდომბერში, როცა ომი მოტანებული იყო, პორტ არტურში გამართულ ნადიმზე პორტ არტურის ციხე მიუვალად გამოაცხადესო. ეს ცნობა სწორე არაა. „ნოვოე ვრემია“-ში 1903 წელს 4 ივლისს (№ 9816) რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოს დეპეშაა დაბეჭდილი პორტ არტურიდან 3 ივლის გამოგზავნილი. ამ დეპეშაში ნათქვამია: ქალაქმა საუზმე გამართა ტაძრის საძირკვლის ჩაყრის გამო. საუზმის დროს სამხედრო მინისტრმა (გენერალ-ადიუტანტმა კუროპატკინმა) სთქვა: „მტკიცედა მწამს, რომ ადგილობრივ მოღვაწეთა შრომის წყალობით პორტ არტური მიუვალ ციხედ იქცა ყველა მტრისათვის, რამდენიც უნდა იყოს ეს მტერი და საიდანაც უნდა მოვიდეს. ვსვამ ქალაქის აყვავებისა და კეთილ გენიოს-შემქნელის ევგენი ივანეს-ძე ალექსეევის სადღეგრძელოს, ურა!“ ისტორიამ ისეთი განმარტება მისცა, ამ დეპეშას, რომ ჩვენი სუსტი კალამი ერთის სიტყვის დამატებასაც ველარა ჰბედავს.

«რეშიტელნის»-ს უფროსად ნამყოფს ლეიტენანტ როშჩაკოვსკის უთქვამს: ტყუილია ის აზრი, ვითომ იაპონელებმა ბრანდერებით ზარალი არ მოუტანეს რუსის ფლოტსაო. ბრანდერებმა მეტად დიდი ზარალი მოგვიტანეს, თითქმის სულ მთლად შეჰკრეს პორტ არტურის გასავალი. რუსის გემებს მხოლოდ თითო-თითოს, წეროებივით შეეძლოთ ნავთ-სადგურიდან გასვლა; იაპონელები სარგებლობდნენ ამით და რამწამს რუსის გემი ვიწრო გასავლიდან გავიდოდა, მაშინვე ზარბაზნს დაუშენდნენ ხოლმეო (რ. ს.).

გენ. სტესსელი. «პტი პარიზიენ»-ს ატყობინებენ პეტერბურგიდან: გენ. სტესსელი იმიტომ არ დარჩა ტყვედ იაპონიაში თავის არმიასთან, რომ საჭიროდ მიაჩნია უმაღლეს მთავრობას დაწვრილებითი მოხსენება წარუდგინოს პორტ-არტურის დაცვაზე. ამბობდნენ, სტესსელი მარსელში გადავა ხმელეთზე და პეტერბურგს მიმავალი, ბერლინზე გაივლისო· ბერლინში იმპერატორ ვილჰელმს წარუდგება და ორდენის ბოძებისათვის მადლობას გადაუხდისო (ნ. დ.).

«ნაშა ჟიზნ»-ი იუწყება, გენ. სტესსელის საქმეს (პორტ არტურის კაპიტულიაციის საქმეს) უსათუოდ გამოიძიებენო.

«დეილი მეილ»-ს დეპეშით ატყობინებენ ტოკიოდან: ერთმა ტყვე რუსის აფიცერმა ილაპარაკა: დამორჩილების წინ გენ. სტესსელმა უკანასკნელად დაიარა თავისი ჯარი. მეტად მძიმე წამი იყო. გენ. სტესსელმა უთხრა სალდათებს: თქვენ მოწამე ხართ იმისი, რაც მოხდა. ეხლა თქვენი სიცოცხლე და საკუთრება თქვენის გუშინდელის მტრის ხელშია. მადლობელი ვარ, რომ თქვენ ულაპარაკოდ მომეცით კაპიტულიაციის (დამორჩილების) ნება. იაპონელები სწორედ აასრულებენ დამორჩილების პირობებს. თქვენ მეომრის მოვალეობა პირ-ნათლად შეასრულეთ და იაპონელებმაც კარგად დააფასეს თქვენი გმირული წინააღმდეგობა. თუ რუსეთში თქვენი ქცევა არ მოეწონებათ, იცოდეთ, დამორჩილების გამო პასუხის გებას მარტო ჩემ თავზე ვკისრულობ. გახსოვდეთ, ჯარის-კაცი ყოველთვის პატიოსან გზას უნდა ადგესო (ნ. დ.).

ახალი ამბავი

ხმოსანთა განცხადება. ტფ. საბჭოს ხმოსანთა ერთმა ჯგუფმა განცხადებით მიჰმართა ქალაქის მოურავს და სთხოვა, საბჭოს წარუდგინოს ეს განცხადება განსახილველადაო. ხმოსნები თავიანთ განცხადებაში ამბობენ, რომ მეეზოვენი ისეთ საქმეს ასრულებენ, რაც მათი მოვალეობა არ არისო, მაგალითად, იმის მაგივრად, რომ ეზოებსა და ქუჩებში სისუფთავე დაიცვან, პოლიციის მოხელეებს ეხმარებიან და საეჭვო კაცების ძებნაში ალამებენ დღეებსაო. კანონის ძალით და უმართებულესის სენატის განმარტებით კი ამნაირი საქმე მხოლოდ პოლიციასა და ჟანდარმებს ევალებათო.

** **თავის მოკვლა.** ჰიათურიდგან გვატყობინებენ, რომ იქ 9 იანვარს რევოლვერით თავი მოუკლავს ჰიათურის შავის-ქვის მრეწველთა საბჭოს კრების სამთო ინჟინერს პოლ. ნიკ. შატილოვს. თავის მოკვლის მიზეზი ჯერ ჯერობით გამოურკვეველია.

** **სახაზინო თეატრში რემონტი** უკვე დაამთავრეს და დღეს, 12 იანვარს, დილის 10 საათზედ, ტეხნიკოსთა კომისია დაათვალიერებს თეატრის იმ ნაწილს, სადაც რემონტი მოახდინეს.

** **ქართული საბენეფისო წარმოდგენა.** ხვალ, 13 იანვარს, ტფ. სახაზინო თეატრში დანიშნულია ბენეფისი ჩვენის სცენის ნიჭიერ და დამსახურებულ მსახიობის ქ-ნის ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა.

** **ბელგიის უსახელო საზოგადოების** გამგეობამ ტფ. ქალაქის გამგეობას გადასცა 150 უფასო ბილეთი ქალაქის გამგეობაში მოსამსახურეთათვის და სთხოვა, წარმოგვიდგინეთ იმათი სია, რომელთაც დაურიგდებათ უფასო ბილეთებიო.

** **შემდეგს საყურადღებო ამბავს** გადმოგვცემს „რუს. ვედ.": „განზრახულია გაამარტივონ კავკასიაში სამოქალაქო ნაწილის მართვა-გამგეობა. ზოგიერთ გუბერნიაში გაუქმებულ იქნება გაძლიერებული დაცვა, რომელიც რამდენიმე ათი წელიწადის მოქმედებს".

** **იგივე გაზეთი სწერს:** «სომეხთ-საეკკლესიო სამზრუნველოებს ნება მიეცათ დამოუკიდებლად მოიხმარონ ის ფული, რომელიც სხვა-და-სხვა შემომწირველთაგან შევა სომეხთა საჭიროებისათვის».

** 9 იანვარს, საღამოს 10 საათზე, ცეცხლი გაჩნდა ამიერ კავკასიის რკინის გზის სახელოსნოების მოდელების განყოფილებაში. ცეცხლი ისე გაძლიერდა, რომ მქრობელი რაზმი თითქმის გათენებამდე მოუნდა, მოდელების განყოფილება ცეცხლმა სრულებით გაანადგურა. ზარალი 50. ათას მანეთამდეა.

** გზათა მინისტრის განკარგულებით, იმიერ ბაიკალის გზაზე კიდევ მოითხოვეს ამიერ კავკასიის რკინის გზიდან ექვსი მემანქანე და სამი თანაშემწე.

** **ქუთაისიდან** გვატყობინებენ, რომ ჩვენს ნიჭიერს მსახიობს ბ-ნ ვლ. ალექსი-მესხიშვილს ნაღრძობი ხელი თითქმის მოურჩა და კვირას, 9 იანვარს მონაწილეობა მიიღო «კაი გრაკხ»-ის წარმოდგენაშიო.

** **მოქალაქეთა საზოგადოების მამასახლისმა** წარუდგინა დასამტკიცებლად ტფ. გუბერნატორს მის მიერ პოლიცმეისტერის დახმარებით შედგენილი წესები მომავალ არჩევნებისა. ამ წესებით, უფრო ხელსაყრელია მდაბიო მოქალაქე-ამომრჩევლთათვის, რომ არჩევნები თითოეულ საპოლიციო ნაწილში კი არ მოხდეს, არამედ რამდენისამე ჯგუფისა ერთად და, გარდა ამისა, არჩევნები უნდა შესდგეს ამ წესების დამტკიცებიდგან 10 დღის შემდეგ.

** **ტირაჟი.** მე-III საქალაქო სესხის ობლიგაციების გასათამაშებელი ტირაჟი მოჰხდება 1-ლ თებერვალს. სულ უნდა გათამაშებულ იქმნას 9,700 მან. ობლიგაციები.

შეცდომის გასწორება:

„ქუთ. საურთ. ნდობის ბანკი".

სწერია	უნდა იყოს:
№ 282: 19 დეკემბერი	5 დეკემბერი
№ 285: სამ თვეს	V
ედიმოდა	უდიმოდა
380 კაცია	480 კაცია.
შებორკილებული	შებორკილი
№ 298: 27 წლის	24 წლის
№ 299: 19 1/2	19 1/20
№ 3: ქუთათური კორესპონდენტი	ქუთათური „ბუბლიცისტი"
№ 4: სამით	რამით

მუშების გაფიცვა პეტერბურგში.

დეპეშებმა გვაცნობეს, რომ იანვრის დამდეგს პეტერბურგში 100 ათასამდე მუშა გაიფიცა და სამუშაოზე ხელი აიღოო... სხვათა შორის გაიფიცნენ მუშები პუტილოვის ქარხნისა, რომელიც ერთი უდიდესი სამრეწველო დაწესებულებაა მთელს რუსეთში. ამ ქარხანაში მუშების გაფიცვის შესახებ «ნოვოე ვრემია»-ში სწერია:

«პუტილოვის ქარხნის მუშები გაიფიცნენ. ქარხანაში მუშაობა შესწყდა. ქარხნის გარეთ, ქუჩებში მუშები ჯგუფ-ჯგუფად დადიან. მათ შორის ბევრი ქალია. არავითარი ხმაურობა არ ისმის, მხოლოდ დროგამოშვებით ქარხნის კარებს მუშათა ერთი ჯგუფი მიუახლოვდება და კოტა ხნის შემდეგ ისევ უკან ბრუნდება ხოლმე. სიჩუმე მხოლოდ ჟანდარმთა ესკადრონმა დაარღვია, რომელიც ყაზარმებისაკენ მიეშურებოდა. ჟანდარმები ცხენებს მიაჭენებდნენ და ჩქარობდნენ. ქარხნის კარებზედ გაკრულია განცხადება დირექტორისა, რომელიც აცხადებს, რომ მუშების თხოვნა მუშის ტეტიავკინის დათხოვნის შესახებ უსაფუძვლოა. გარდა ამისა დირექტორი აცხადებდა, ვინც სამუშაოდ დაბრუნდება, გამოტოვებულ დღეების სამუშაო ფასიც მიეცემა და არც დაისჯება, ხოლო თუ 7 იანვრამდე მუშაობა არ დაიწყეს, კანონის ძალით ყველა მუშა დათხოვნილი იქნებაო. ამ განცხადებამ მუშებზე არავითარი გავლენა არ იქონია და სამუშაოდ არავინ არ დაბრუნდა. 4 იანვარს, დილის 7 საათზედ ქარხანაში ათასამდე მუშა დაბრუნდა და უნდოდათ მუშაობა დაეწყოთ, მაგრამ სხვა მუშებმა ნება არ მისცეს და უკანვე დააბრუნეს. ქარხანაში დარჩნენ მხოლოდ ინჟენრები, სახელოსნოების უფროსები და ის ხელოსნები, რომელნიც ქარხნის ადმინისტრაციაში ირიცხებოდნენ. კაჩეგარებიც არ იყვნენ და ამიტომ ქარხნის 200 ორთქლის ქვაბი აღარ მოქმედებდა, დინამო-მაშინებიც შეჩერდნენ და ელექტრონიც გამქრალი იყო. 5 იანვარს მუშებმა ქარხნის დირექტორს წარმომადგენელი გაუგზავნეს და შეატყობინეს, რომ დღეს, საღამოს 7 საათზე თქვენთან მუშების ყველა ამქართა დეპუტაცია მოვა და მუშების სურვილსა და პირობებს შეგატყობინებსო. საღამოს 5 ნახევარ საათზედ მუშების დეპუტაცია—40 კაცი ქარხნის ეზოში შევიდა.

დეპუტაციას მიუძღოდა მღვდლის ქურქში გახვეული კაცი; ეს კაცი იყო—მღვდელი გიორგი გაპონი, პეტერბურგის საპყრობილის ეკლესიის მოძღვარი და ინიციატორი და თავმჯდომარე «ფაბრიკა-ქარხნების მუშათა კრებისა».

მღვდელი გაპონი დეპუტაციის მოთავე იყო და ქარხნის ადმინისტრაციასთან მოლაპარაკებლად მიდიოდა. დირექტორის ოთახთან პოლიციელები იდგნენ, თვით ოთახში კი მხოლოდ დირექტორი, იოგანსონი და ქარხნის ორი უფროსი ინჟენერი. დეპუტაცია ოთახში შეიყვანეს.

მღვდელმა გიორგი გაპონმა მუშათა სახელით შემდეგი მოითხოვა:

1) ხელოსანი ტეტიავკინი უნდა დათხოვნილ იქმნას, ორი დათხოვნილი მუშა კი—სერგუნინი და სუბოტინი უკანვე უნდა მიიღოთ;

2) 8 საათი სამუშაო დღე უნდა დაწესდეს;

3) ახალ ნაწარმოებზე დაფასება გამოცდის შემდეგ უნდა მიენდოს ხელოსანი და მუშებისაგან ამორჩეულ კაცსა, რის შემდეგაც მათი დადგენილება სავალდებულო უნდა იყოს. რაც შეეხება ძველ დაფასებას, ხელმეორედ უნდა გადაისინჯოს ახალის წესით;

4) პუტილოვის ქარხანაში უნდა დაინიშნოს მუშების მიერ ამორჩეულთაგან ცალკე კომისია, რომელმაც ქარხნის ადმინისტრაციასთან ერთად უნდა განაგოს ყველა მუშის პრეტენზია. მუშების დათხოვნა ქარხნიდან ამ კომისიის ნება დაურთველად არ შეიძლება;

5) მუშის დღიური ხელფასი 1 მანეთზე ნაკლები არ უნდა იყოს;

6) ზედმეტი სამუშაო უნდა მოისპოს, მაგრამ თუ ეს სამუშაო აუცილებელია, მუშას 1 საათი 2 საათად უნდა ჩაეთვალოს;

7) თუ ნამუშავარი მუშების ბრალით არ იქმნა დაწუნებული, მუშას ხვედრი ფასი უნდა მიეცეს;

8) მუშა ქალს დღეში 70 კაპ. ნაკლები არ უნდა ეძლეოდეს, მცირე წლოვან ბავშვთათვის კი თავშესაფარი უნდა დაარსდეს;

9) ქარხნის ექიმებმა და მკურნალებმა მუშებს უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ (უფრო კი დაშავებულთ);

10) უნდა გაუმჯობესდეს სანიტარული მდგომარეობა ზოგიერთა სახელოსნოში უფრო კი სამჭედლოში;

11) გაფიცვის დროს არც ერთი მუშა არ უნდა დაისაჯოს;

12) ის დრო, როცა მუშაობა არ არის, მუშას გამოტოვებულ დღეთ არ უნდა ჩაეთვალოს და ადმინისტრაციამ მუშებს საშუალო ხელფასი უნდა მისცეს.

ამ პირობების დადგენილება სავალდებულო უნდა იყოს და ქარხნის ყველა სახელოსნოში უნდა გაიკრას.

იანვრის 4, 1905 წ.

იმ ქაღალდზედ, სადაც ეს პირობებია ჩამოთვლილი და რომელიც ქარხნის დირექტორს გადაეცა, აწერია: «ნამდვილთან სწორეა. მღვდელი გიორგი გაპონი».

მღვდელი გაპონი, დეპუტაციის წევრები და დირექტორი ამ პირობების წამკითხველს კითხვას ცალკე შენიშვნებითა და სიტყვებით აწყვეტინებდნენ ხოლმე. გარდა ამისა დეპუტაციამ მოითხოვა სამჯერი მუშაობა, ე. ი. დღისითა და ღამითაც. დირექტორი ამბობდა, 8 საათის სამუშაო დღის შემოღება და ახალ დაფასებისა და ხელფასის შემოღება აქციონერებს მთლად გააკოტრებს; პუტილოვის [...] ხანას ფული შემოაკლდება და საქმე [...] შლებაო.

— აქციონერები კი არა, მუშები არ[...] გაკოტრებულნი. ესეა თუ არა, ამხან[...] ბო?—სთქვა მღვდელმა გაპონმა.

დირექტორმა უთხრა დეპუტაციას, თ[...] ნი პირობების ასრულება არას გზით [...] შეიძლება, რადგან ქარხანას მხოლ[...] ეხლა აქვს მოგება—7%, და თუ თქ[...] პირობები ავასრულეთ, სულ მთლად ვიღუპებითო. დირექტორის პასუხმა [...] პუტაცია არ დააკმაყოფილა. მღვდე[...] გაპონმა განაცხადა, მუშები ქარ[...] აქციონერთა გამგეობას მოელაპარაკებ[...] და ეხლანდელ დირექტორის დათხო[...] მოითხოვენო. გარდა ამისა გაპონმა სთ[...] ეხლანდელ დირექტორს ადმინისტ[...] ციის წარმომადგენელად არა ვსთვლი[...]

საზოგადოთ დეპუტაციასა და ადმი[...] სტრაციას გაცხარებული კამათი ჰქ[...] დათ. ყველანი აღელვებულნი და [...] შფოთებულნი იყვნენ.

დეპუტაცია წავიდა.

იმავე დღეს გაიფიცნენ მუშები ფრა[...] ფურტის ქარხნისა, რომელიც გემ[...] ქვაბებს ამზადებდა.

მოქვის მონასტერი.

თვრამეტის ვერსის მანძილზედ [...] ოჩამჩირედგან იმყოფება მოქვის მ[...] ნასტერი. დეკემბრის დამდეგს გვ[...] ლით ამ მონასტრის სანახავად. მშ[...] ნიერი დღე გახლდათ, მხოლოდ [...] და ჩემს თანამოგზაურს ძალიან გ[...] ხა გზები გვიჭირებდა საქმეს, მაგ[...] ჩვენ დაბრკოლებას ვსძლიეთ და მონ[...] ტერს მივედით. მონასტერს მშვენი[...] მაღლობი ადგილი უჭირავს, გვერდ[...] ჩაუდის ორი მდინარე—მოქვი და დოძ[...]

მოქვის მონასტერი, როგორც ის[...] რია გარდმოგვცემს, აგებულია 950—[...] წლებში აფხაზეთის მეფის ლეონ მეს[...] მიერ, კათოლიკოზ არსენ მესამის დრ[...] მონასტერი აშენებულია მშვენიერის თლ[...] ლის ქვით, რომელსაც 35 არშინი სი[...] ძე ექნება, ოცდა ექვსი სიგანე, ორმ[...] და ათი—სიმაღლე; არხიტექტურა სა[...] გალითოა, ისე რომ მონასტერი არ [...] მოუვარდება ხელოვნებით მცხეთისა, [...] ლათის და მარტვილის მონასტრე[...] სამხრეთის მხრივ აშენებულია სამრეკლ[...] ცოტა მოშორებით მღვდელ-მთავრის [...] ნა, რომელიც დღეს დანგრეულია [...] მცენარეულობით მოფენილია; იქვეა [...] ვიწყებული გვირაბი, საიდანაც მდინ[...] მოქვზედ ჩადიოდნენ და წყალი ამ[...] ჰქონდათ.

ბევრი ტანჯვა გადაჰხდა მოქვის მონ[...] ტერს და ბევრი სისხლი ღაღვრილა [...]

ფელეტონი

ჩვენი აწმყო.

ნეტავ რაა ჩვენი აწმყო?
ბავშვობა და თამაშობა!
მაგრამ კარგი ბავშვობაა:
ხარებაა და თან შობა.

—

ვხედავ ვარსკვლავს შორს, ცის კიდით..
ის არს ჩვენი მომავალი!
მივეგებოთ მას მუშებად!
მოვუმზადოთ გზა და კვალი.

—

რომ წარსული ჩვენც გვქონია,
თავმდებია თვით რუსთველი.
მაშ მომავალს გაბრწყინვებულს
ვინ წამართმევს?... მეც მოველი.

—

რაც უნდა სთქვან, რაც უნდა ჰქმნან,
სულ ჩაივლის უქმად ყველა.
სამართალი ბოლოს გასტანს,
რა თქმა უნდა, ნელა-ნელა.

—

მართალია, რომ მათის ცდით
გასკვითდება ზედა პირი,
მაგრამ ამით გადაივლის
მთელი ერის გასაჭირი!...

—

იმის ნაცვლად ხალხის ძირი
ამოიყრის, გაიხარებს
და მოძღვრადაც მხოლოდ რუსთველს,
და სხვას არვის აღიარებს.

—

ჯერ კი თუმცა ჩვენი აწმყო
ბავშვობაა!... თამაშობა!...
მაგრამ მაინც გულს ნუ ვიტეხთ,
რადგანც ახლოს არის შობა!...

აკაკი.

ტფილისი.
1 იანვარს 1905 წ.

პერსი ბიში შელლი.

(გაგრძელება *).

საინტერესოა, თუ როგორ ავრცელებდა შელლი პროკლამაციებს. ბევრჯელ პროკლამაციებს ბოთლებში ჩააწყობდა ხოლმე და ზღვას აძლევდა შორს, შორს წასაღებად. ამით ჰფიქრობდა, ზღვა წაიღებს პროკლამაციებს, მთელს ქვეყანას მოსდებს და ხმა სიმართლისა ყველგან გაისმებაო. ბევრჯელ სეირნობის დროს ქალებს მიეპარებოდა ხოლმე და პალტოს კაპიუშონში უდებდა პროკლამაციებს... ფგრეთვე ავრცელებდა იმ სასტუმროს ბალკონიდან, სადაც თვითონ იდგა. ძირს გამვლელ-გამომვლელს აწოდებდა ზემოდან

ყველა ეს, რასაკვირველია, გასაოცებელია და ბევრს ბავშვობადაც ეჩვენება, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამას სჩადიოდა ახალგაზდა, ოცი წლის ჭაბუკი, რომლის ყოველ კეთილ ნაბიჯს და ფიქრსაც კი დარაჯად უდგა ფხიზელი თვალი გონება-დახშულთა და სულ მდაბალთა რაზმისა. გენიოს პოეტი, რომელსაც გიჟურ წყურვილით უყვარდა მთელი კაცობრიობა, თავისუფლება და ხალხის კეთილ-დღეობა, ამ აუტანელ გარემოებაში სწორე გზას გადასცდა, მაგრამ, ვიმეორებ, ეს იყო შედეგი მისის უძლეველის სიყვარულისა ხალხისადმი და კეთილ-შობილურის აზრით ძლიერად გატაცებისა.

იდეალისტი ყმაწვილის დარიგება გულგრილად იქმნა მიღებული ირლანდიელების მიერ. ბევრმა იცინა კიდეც მის პროკლამაციებზე, რომლის რამდენიმე მუხლები შემდეგში სავსებით შესრულდა. მაგ., ინგლისმა საჭიროდ სცნო ირლანდიისათვის სხვა კანონები გამოეცა.

შელლი მიხვდა, რომ მისი აზრები ნიადაგს ვერ მოიპოვებდა ჯერ კიდევ განუვითარებელ ხალხში და გადასწყვიტა: «აღარ მივმართავ რაიმე მოწოდებით გაუთლელ ბრბოს და იმედებს მომავალზე დავამყარებ. ხოლო ჩემის მოქმედებით ხელს შევუწყობ იმ აზრს, რომელიც რამდენისამე საუკუნის შემდეგ განხორციელდება, მაშინ, როდესაც მე უკვე მიწად ვიქმნები ქცეულიო».

ამავ დროს ინგლისის მთავრობამ დევნა დაუწყო შელლის. ამიტომ შელლი გაიქცა და დროებით თავი შეაფარა კუნძულ მენზე, სადაც თავს იყრიდნენ პოლიტიკური დამნაშავენი და მოვალენი.

მცირე ხნის შემდეგ კვლავ დაბრუნდა სამშობლოში და ყურს უგდებდა თანამემამულეთა მაჯის ცემას. ყოველი უწესოება და უსამართლოება, რომელსაც ჰხედავდა, ღრმად სწვდებოდა გულში და მოსვენებას არ აძლევდა. ამ წელს, ე. ი. 1812 წ. სამეფო სასამართლომ ერთს მეწიგნეს, რომელიც ტომას ტენის თხზულებას ავრცელებდა, მიუსაჯა ჯარიმის გადახდევინება და სამარცხვინო ბოძზე გაკვრა. ამ გადაწყვეტილებამ უსამართლოების მტერი—შელლი ძალიან აღაშფოთა, მით უფრო, რომ საზოგადოებამ გულ-გრილად მიიღო ეს განაჩენი და ერთს მათგანსაც არ განუცხადებია უკმაყოფილება. შელლიმ საჭიროდ დაინახა წერილი მიეწერა ლორდ ელლენბოროსათვის. „საშუალო საუკუნოების კანონი,—სწერდა, სხვათა შორის, შელლი—ჯერ არ გადავარდნილა და მოსალოდნელია ხელ-მეორედ დადგეს ხანა ინკვიზიციისა. განა ახლაც უნდა გაისმოდეს ჟღარუნი იმ ბორკილებისა, რომლითაც შებოჭეს გალილეი? მერე სად? იმ ქვეყანაში, რომელსაც თავისი თავი თავისუფლების საკურთხეველად მიაჩნია? რწმენისათვის კაცს სამარცხვინო ბოძზე მიკვრას უსაჯავენ და ამ განაჩენის წინააღმდეგ კი ხმას არავინ იღებს!? ნუ თუ ქრისტიანთა ღმერთი, რომელსაც თქვენ უწოდებთ ღმერთს მშვიდობისა და შენდობისას, ნებას გაძლევთ კაცის წინააღმდეგ ამხედრდეთ თუ გინდაც ურწმუნობისათვის? როცა თქვენ კაცთ სდევნით, მხოლოდ მისთვის, რომ მათი რწმენანი თქვენსას არ ეთანხმება, მაშინ თქვენის მოქმედებით ემსგავსებით ქრისტიანთა მდევნელებს და ამ ტკიცებით, რომ თქვენი სარწმუნოებაც მკაცრი, შეუბრალებელია და აზრად აქვს არა ქრისტიანთა დათრგუნვა და გაქელვა!!".

მდგომარეობა პოეტისა მით უფრო აუტანელი გახდა, რომ ოჯახის საქმე სასურველად ვერ მოეწყო. მართალია, მისი მეუღლე კეთილი და მშვიდი არსება იყო, მაგრამ აკლდა გონებითი სიმაღლე და იმდენი დაკვირვება, რომ გენიოს ქმრის გულში ჩაეხედა, ამოეკითხა შიგ დაფარული საიდუმლოებანი და მოზიარე გამხდარიყო პოეტის სულის-კვეთებისა და აღტაცებისა. ერთის სიტყვით, გარრიეტას არ შეეძლო ქმართან ერთად აეტანა სიღარიბეც, წვალებაც და სიმშილიც.

პოეტმა დაინახა თავისი შეცდომა და ძალიან სწუხდა. შემდეგში ეს ტანჯვანი აღწერა ერთს თავის პოემაში. იქ გამოხატულია სევდა ყმაწვილისა, რომელიც ამაოდ ეძებს თანამოზიარე არსებას.

ცოლ-ქმარნი გაიყარნენ.

შელლიმ, რაც ფული ჰქონდა, სულ ცოლს მისცა და თვითონ ლონდონში დარჩა. ბედი განშორებულ ქალისა, რომელიც მამის ოჯახში დაბრუნდა, სამ[...] ხაროდ დატრიალდა: ველარ აიტანა გ[...] ნათლებელ მამის მიერ წვალება და მ[...] ნარის ტალღებს მისცა თავი,

შელლი ამ დროს ინგლისში არ ი[...] და მას საზოგადოება ზიზღსა და სიძუ[...] ვილს უგზავნიდა, გარრიეტას კი ჰსახ[...] და ჭკვიან ქალად, თვით განხორციელ[...] ბად სიკეთისა და გონიერებისა.

შელლი, როგორცვე განშორდა გა[...] რიეტას, დაუახლოვდა სხვა ქალს, რ[...] მელსაც სიკვდილამდე არ დაუტო[...] დევნილი პოეტი... ეს იყო მერი გოდ[...] ნი—ქალი განთქმულის, უტოპისტად [...] დებულის მწერლისა, რომელმაც, სხვა[...] შორის, დასწერა: „სამართლიანობა [...] ხელმწიფოში". მერის დედაც მწერა[...] იყო და ქალთა უფლებებს იცავდა...

მერი, დედმამასავით, ჭკვიანი და [...] ჰიერი იყო. მამამ ადრევე განუმტკ[...] ის რწმენები, რომელიც შელლიმ ათა[...] მწარე ფიქრის შედეგ შეიმუშავა და [...] ნაღამ ჭკუაზე შეშალა. მერის, თუმ[...] მხოლოდ თექვსმეტის წლისა იყო, შე[...] ლო მხარში ამოდგომოდა პოეტს [...] მასთან ერთად ყოველივე ეტანა. მა[...] თალია, მერის არ შეეძლო კანონიერ[...] შეუღლება შელლისთან, რადგან პოეტ[...] პირველი ცოლი გარრიეტა ცოცხა[...] იყო, მაგრამ ამას არ შეუშინდა და [...] მამად გაუწოდა ხელი ყველასაგან უ[...] ყოფილ კაცს და აღთქმა მისცა, სა[...] პირში სული მიდგია შენთან ვიქნები [...] არც მე შევუშინდები დაცინვასა და დ[...] ნას იმ საზოგადოებისას, რომელიც [...] შეურაცხყოფას გაყენებსო. აქვე უ[...] შევნიშნოთ, რომ ქალის მხრივ ას[...] საქციელი არ იყო დიდი გმირო[...] რადგან მამაც მხარს აძლევდა... მე[...]

---

*) იხ. «ივერია», № 7.

კედლებ წინ ქრისტეს სარწმუნოებისათვის; მრავალჯერ გაუნადგურებიათ სპარსელებს, თურქ-სელჯუკელებს, არაბებს, ჩერქეზებს და მრავალთა სხვა ურჯულოთა აფხაზეთის ტაძრები, მათი ქალაქ-ციხე-კოშკები. მაგრამ მოქვის დიდებულ ტაძარს დღემდე თავი მედგრად შეუნახავს და მისი კედლები გადარჩენია მტრის ცეცხლსა. მას უკან რაც აფხაზთა მკვიდრთ სარწმუნოება შესცვლიათ, დროთა განმავლობაში მოქვის ტაძარი უყურადღებოდ დარჩენილა. მხოლოდ 1840—50 წლებში დაუდგა აღყვავების დრო, ამ დროს აფხაზეთის მთავრის მ. შარვაშიძის მიერ, რომელსაც დედამ სთხოვა, მოქვის მონასტერი განახლდა, კვლავ ეკურთხა და სამრევლო ეკკლესიათ დაწესდა; მას შემდეგ ამ დიდებულმა ტაძარმა მრავალი აფხაზთა მკვიდრნი მიიზიდა და დაჰბადა 700—800 კომლამდე მრევლი.

ყურადღება უფრო ახლა მიიქცია ამ მონასტერმა. მთავრობის მიერ ეწოდა ახლო სახელი: მოქვის ღვთისმშობლის მიძინების დედათა მონასტერი. რუსეთის სხვა და სხვა კუთხიდგან დღეს აქ მოდიან მრავალნი დედანი; ამათ ააგეს ორ სართულიანი სახლი, რომელშიაც მოთავსდება ორასამდე სული, გაასუფთავეს მონასტრის ეზო-გალავანი, შესძინეს მონასტერს მრავალი სამკაული და ჯერ რამდენიმე მონაზონი—დედანი დაბინავდნენ აქა.

მონასტერში განისვენებენ აფხაზეთის მთავარი შერვაშიძე თავის მეუღლით, შვილით და ასულით. აგრეთვე პოლკოვნიკი მიხეილ მარშანია და სხვანი. მონასტრიდან ნახევარ ვერსის მანძილზედ იმყოფება სამინისტრო სკოლა, სასოფლო კანცელარია და პოლიციის დარაჯთა «პოსტი». მომავალში აფთექის დაარსებასაც ფიქრობენ და მონასტერში საქალებო სასწავლებელისას, რომელსაც სახელად ეწოდება მოქვის მონასტრის საქალებო სკოლა.

მეთოდი გ. ქათამაძე.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

დილის დეპეშები.

10 იანვარი.

პეტერბურგი. უქვეშევრდომილესი დეპეშა გენ. კუროპატკინისა ხელმწიფე იმპერატორის სახელზე 9 იანვრის თარიღით: «დამატებითად მოგახსენებთ ცნობებს გენ. მიშჩენკოს ცხენოსან რაზმის მოქმედების შესახებ: 28 დეკემბერს ერთსა და იმავე დროს ჩვენმა ცხენოსანმა რაზმმა მიიტანა იერიში ფლანგიდან და ზურგიდან მტერზე. ყაზახები პოდ-ესაულის ნეკრასოვის უფროსობით დაქვეითდნენ და მწყობრად მივიდნენ. აქ პოდესაული ნეკრასოვი ჯერ დასჭრეს ხიშტით თავში, მერე ორი ტყვია მოარტყეს და მოჰკლეს საფრანგეთის; მერე მოჰკლეს ლეიტენანტი ბორტენი. იაპონელების გამოსადევნებლად ესროლეს ზარბაზნები 400 ნაბიჯიდან. მაშინ იაპონელნი გაიქცნენ, მაგრამ თითქმის ყველა დასჩხეს, დახოცეს და ტყვედ წაიყვანეს. ამ ბრძოლაში ჩვენ მოგვიკლეს ორი აფიცერი და 7 ჯარის კაცი, დაჭრილია 7 აფიცერი და 33 ჯარის კაცი. სადგურ ინკოუზე იერიშამდე 30 დეკემბერს, იქ მივიდა სადგურ ტაშოჩაოდან მატარებელი და მოიყვანა იაპონიის ჯარი; ამ მატარებელს ჯერ ერთიანად დაუწყეს თოფის სროლა კავკასიელმა მოხალისეებმა, რომელიც იცავდა რაზმის მარცხენა ფრთასა, და მერე არტილერიამ დაუწყო სროლა. უკან დაბრუნებისას მატარებელი დაიმსხვრა რადგან ჩვენ გზა წავახდინეთ. ინკოუსთან ჩვენს გამარჯვებას ხელი შეუშალა იმ გარემოებამ, რომ იაპონელების თხრილებს წავაწყდით, აღმოსჩნდა ხაროები და მავთულის ღობე. გენერალ მიშჩენკოს ჩვენებით უფრო თავი ისახელა ამ ბრძოლაში გვარდიის არტილერიის კაპიტანმა ბარონმა შაიდელმა. ის სულ ბოლომდე იყო ბრძოლაში და გამოიტანა დაჭრილი ყაზახი. პირველ იანვარს ღამე ამბავი მოგვივიდა, რომ სოფელი ჩვენი სადგომიდან 4 ვერსზე იაპონელებმა დაიჭირეს, მეორე ძლიერი რაზმი გამოვიდა ნიუ-ჯუანიდან. დილა ადრიან ჩვენი ცხენოსანი რაზმი ჩრდილო-დასავლეთად წავიდა. მოსულმა იაპონიის რაზმმა დაგვიშინა ზარბაზანი, მაგრამ ჩვენი ორი ზარბაზნისა და დაქვეითებულ ყაზახების შემწეობით, დიდად დავაზარალეთ და უკან დაიწია. ამავე დროს მეორე ყაზახთა რაზმი მივიდა იაპონელებისაგან აღებულ სოფელთან და დაუწყო სროლა იაპონელებსა, ამათვე ჩვენმა არტილერიამ დაუწყო სროლა. ერთი ნაწილი კი იაპონელების რაზმისა, რომელიც ადრე გამოვიდა სოფლიდან, პოდესაულის კონკოვის უფროსობით, რომელიც ხიშტით გვერდში დასჭრეს, სულ ასჩხეს. მთელ იმ დროს ცხენოსან რაზმს ჩვენსას დააკლდა 7 აფიცერი და 73 ჯარის კაცი, დაიჭრა 32 აფიცერი და 237 ჯარის კაცი და უგზოდ დაიკარგა 21 ჯარის-კაცი, 61 ცხენი მოჰკლეს და 75 დაიჭრა. ზურგიდან დიდი ალიაქოთი მოახდინეს.

9 იანვარი.

ვლადივოსტოკი, ვლადივოსტოკში ყველაფერია. ვაჭრები დღითი-დღე უმატებენ ფასებსა, თავს მართლულობენ იმით, რომ საქონელი ფოსტით მოგვდისო. აღმოსავლეთის ინსტიტუტი და სავაჟო გიმნაზია დახურეს, საზღვაო სკოლა კი არა. ინსტიტუტი გადააქვთ ვერხნეუდინსკში, ან ირკუტსკში. გიმნაზიის შეგირდებს უთხრეს, აირჩიონ გიმნაზიები, მომეტებულნი ნერჩინსკის გიმნაზიაში გადასვლას ირჩევენ. შეგირდებს სახელმწიფო ხარჯით წაიყვანებენ. შუადღისას მზეზე 3 გრადუსი სითბო იყო.

ტოკიო. შახედან დეპეშა იუწყება, რუსები ამ ბოლო დროს აეროსტატებს უშვებენო. ერთი ბურთი 7 იანვარს შუადღისას დაუნახავთ ხუანშანთან- ბატალიონს რუსის ჯარისას და მთავარი შტაბის აფიცრებს, რომელნიც ბურთ ქვეშ იდგნენ, ჩვენმა არტილერიამ სროლა დაუწყო.—ამბობენ, ტოგო და კამიმურა 10 იანვარს მიდიან ტოკიოდან, რომ ფლოტს შეუერთდნენ.— თუმცა რუსები ირწმუნებიან პორტ არტურთან ჩაღუპულ გემების ამოღება შეუძლებელიაო, მაგრამ აქ კი ფიქრობენ, ზოგიერთი გემების გაკეთება შეიძლება და არც დიდი ხარჯი მოუნდებაო.

სეული. მეგატას პროექტი ზარაფხანის გადაკეთების შესახებ კორეის მთავრობამ მოიწონა. ნიკელიანი ფული აღარ იხმარება და იაპონური ნიშნის ფული შემოვა, ეს იმის მომასწავებელია, რომ დაიწყობს ტრიალს ოქროსა და იაპონიის ფული კორეიაში. იაპონია უსათუოდ ხუთ მილიონ იენს კრედიტს მისცემს კორეას, რომ ეს რეფორმა შესრულდეს.

მე-80 ტირაჟი პირვ. მომგებ. სესხ.

№№ სერიებისა	№№ ბილეთებისა	მოგების ჯამი	№№ სერიებისა	№№ ბილეთებისა	მოგების ჯამი
1646	46	200,000	6440	11	ათას-ათასი მანეთი
17790	12	75,000	10735	22	
14354	50	40,000	7789	44	
10203	36	25,000	1340	7	
264	5	10,000	14766	24	
16376	4	10,000	3862	31	
7653	27	10,000	14787	49	
10096	1	8,000	8942	6	
16919	13	8,000	723	21	
607	9	8,000	9330	46	
6040	27	8,000	410	12	
18786	46	8,000	8351	41	
1175	6	5,000	3029	33	
7717	28	5,000	13282	14	
17021	44	5,000	6024	37	
7670	3	5,000	8571	40	
3153	10	5,000	362	8	
2153	28	5,000	19679	2	
7449	33	5,000	6891	35	
12700	14	5,000	4330	24	

ხუთას-ხუთასი მანეთიანი.

№№ სერიებისა	№№ ბილეთებისა	№№ სერიებისა	№№ ბილეთებისა	№№ სერიებისა	№№ ბილეთებისა
7018	1	8055	18	16573	32
3459	1	4268	19	15314	33
19970	1	5316	19	15504	33
18720	1	15470	19	797	33
4182	2	7354	19	449	33
17327	2	5232	19	18345	34
7558	2	4520	19	13966	34
5413	2	10064	19	3175	34
16991	2	9730	19	12909	35
15627	3	19580	20	1001	35
18125	3	588	20	9956	35
10667	3	9806	20	2253	35
12194	4	19257	20	19445	35
19470	4	1419	20	12771	36
6382	4	4023	20	11041	36
16828	4	7061	20	2172	36
7211	4	19033	20	526	36
12459	4	15156	20	10549	36
19732	4	17080	21	18508	36
7440	5	17141	21	9435	36
11196	5	18872	21	9169	36
16864	5	12006	21	8683	37
11554	5	2153	21	10699	37
3063	5	601	21	11129	37
3092	5	6538	21	6835	37
16795	5	6592	21	11590	38
9327	6	11510	21	17343	38
12261	6	10775	21	7203	39
10580	6	4591	21	5831	39
18256	6	17011	22	4863	39
13316	6	16810	22	9670	40
11694	6	17921	22	10626	40
10224	6	7856	22	9860	40
6	6	8422	22	15204	41
6043	7	6136	23	3442	41
2768	7	17028	23	6220	41
9326	7	14620	23	11669	41
10784	7	10304	23	16574	41
13297	8	522	23	12650	41
5720	8	399	23	6868	41
17354	8	4078	23	19844	41
14702	8	13545	23	12379	42
363	8	16569	23	15981	42
6215	8	1904	23	880	42
9929	9	11484	23	5604	43
6486	9	273	24	10911	43
6770	9	2981	24	19894	43
19566	9	15462	24	18954	43
7104	9	15214	25	18176	43
1959	9	10469	25	3848	43
2166	9	12911	25	9194	43
17174	10	3140	25	10706	43
11422	10	6030	26	7072	44
12489	10	19102	26	6383	44
18954	11	14200	26	2199	44
3025	11	8874	26	15079	44
19991	11	5879	26	2389	44
14553	11	1669	27	6434	44
9821	11	10843	27	2586	45
10766	12	19114	27	4598	45
9433	12	4437	27	1319	45
3463	12	6504	27	16633	45
2179	12	6338	28	14128	45
16313	12	14372	28	4675	46
3997	12	8280	28	19136	46
3575	13	7519	28	4970	46
6571	13	4786	28	5336	47
7837	13	14245	28	14861	48
6580	13	10394	28	5175	48
18779	13	18449	29	9902	48
6584	13	17241	29	14170	48
3488	14	4598	29	8496	48
12788	14	2487	29	16483	48
2678	14	10791	30	19574	48
13451	14	15633	30	18693	48
17348	14	9747	30	11199	49
10533	14	11666	30	17874	49
4674	14	1222	30	3150	49
1189	16	9240	30	4233	49
16362	16	5770	30	2586	49
12710	16	9008	31	16210	50
16404	17	7954	31	18436	50
9068	17	11367	31	8161	50
9507	17	11874	31	5641	50
8209	18	17116	31	9031	50
12172	18	9958	31	3757	50
10610	18	16380	32.		

№№ გაბათილებულ ბილეთებისა

2117, 6544, 2318, 5244, 12865, 9216, 3671, 1028, 1025, 9336, 11142, 1264, 15125, 12283, 8387, 17161, 17576, 13563, 9399, 3695, 15557, 12838, 16365, 14924, 13162, 9487, 33, 16945, 679, 16598, 13508, 12070, 14006, 12442, 15245, 10637 18307, 18710, 2777, 3530, 6570, 7848, 15498, 8473, 6076, 15309, 6484, 6188, 5761, 1700, 15036, 16665, 3625, 1695, 1589, 14364, 3637, 1786, 13625, 17646, 18948, 8412, 11377, 13378, 3123, 13650, 18216, 631, 16768, 19752, 14017, 13307, 3470, 12333, 17519, 1326, 13974, 7231, 18017, 7632, 13843, 19440, 17225, 1580, 10896, 8926, 8851, 2032, 11046, 17165, 10347, 14203, 1002, 2279, 7928, 10501, 11304, 4094, 18487, 183, 19987, 16283, 15130, 2864, 13945, 9616, 12432, 2728, 2894, 5639, 4915, 725, 14761, 13166, 11223, 1284, 8710, 8964, 2384, 3847, 16407, 15903, 4538, 8742, 11928, 4677, 5771, 16995, 15230, 3948, 4940,

---

მამას შელლი უყვარდა და მისს ნიჭსაც აფასებდა, ამიტომ თვითონვე ჩააბარა თავისი ქალი, რომლის დაკვირვებამ და მხარში ამოდგომამაც შეუნახა კაცობრიობას დიდებული პოეტი. პოეტმა იგრძნო, რომ ვიპოვე სული თანაზიარი, რომელიც ჩემს მოქმედებას გაანაყოფიერებსო.

ერთს პოემაში «აჯანყება ისლამისა» მოგვითხრობს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ქალს შელლის მოქმედების განაყოფიერებაში.

შელლიმ, ბოროტ-მოქმედად მიჩნეულმა, თავისი ცოლით თითქმის სულ ფეხით მოიარა მთელი საფრანგეთი და შემდეგ შვეიცარია. ეს იყო 1815 წელს.

ხანგრძლივის მოგზაურობის შემდეგ შელლი ჟენევაში შეხვდა თვისებრ დევნულ კაცს, ინგლისის ბუმბერაზ პოეტს— ბაირონს და დაუმეგობრდა. ამ ორმა დიდებულმა კაცმა ჟენევაში ერთად დაიწყეს ცხოვრება და იქიდან ადევნებდნენ თვალ-ყურს იმ სამშობლოს მჯის ცემას, რომელმაც ასე უმართებულოდ გამოდევნა ისინი თავის სამზღვრებიდან.

ბაირონი, რომელიც ოთხის წლით იყო დიდი შელლიზე, გამოდევნილ იქმნა უკვდავ პოემის «ჩაილდ-გაროლდის» პირველი ორი ნაწილის დაწერისათვის. მეორე ნაწილი კი ჯერ არ დაეწერა.

ინგლისის პრესსამ ხელზე დაიხვია ამ ორი კაცის დამეგობრება და ამტკიცებდა, ორთავენი გარყვნილნი, ბოროტნი არიან და ჟენევაში ორთავენი მდაბალსა და ველურს პრინციპებს ემსახურებიანო. პრესსა, რომელსაც ორთავენი საშინლად ლანძღავდნენ, მეტადრე ბაირონი, გულ-მოსული იყო ამ ორ კაცზე და არავითარს ცილის წამებას არ ერიდებოდა, ოღონდ ჩირქი მოეცხო მათი კერძო ცხოვრებისათვის. მათ ნაწერებს ხომ სულ უნიჭოდ დაწერილად, «ან ეშმაკის ნაწარმოებად» სთვლიდნენ.

მეგობრები გულ-გრილად ისმენდნენ სამშობლოს მსჯავრს.

ზოგიერთების სიტყვით, ამ დროს შელლიმ გავლენა იქონია ბაირონზე. დანიის კრიტიკოსი ბრანდესი ამბობს: «ბაირონმა შელლის სახით ნახა მაღალი და თანამედროვე ჭკუა... შელლის თავისს რწმენის სიმართლე შეურყევლად სწამდა, ბაირონი კი ხელმძღვანელობდა უფრო პირადის სიმპატიით, ვიდრე რწმენით. პანტეისტური იდეები, რომელიც ბაირონის «ჩაილდ-გაროლდის» მესამე თავში გვხვდება, არის შედეგი შელლის გავლენისა ბაირონზე... ეს სხვა პოემებშიაც სჩანს».

მოგზაურობის დროს ბაირონსა და შელლის, რომელსაც ცოლი თან ჰყავდა დიდს გაჭირვებაში ცგდებდნენ ინგლისელი ტურისტები. ისინი ჯაშუშებსავით ადევნებდნენ თვალ-ყურს მეგობრების ყოველ ნაბიჯს და ათას შემაძრწუნებელ და საზიზღარ ჭორებს იგონებდნენ ინგლისში გასავრცელებლად.

მოგზაურობიდან და ინგლისში დაბრუნების შემდეგ, შელლიმ შეიტყო სიკვდილი გარრიეტასი და ისე შეწუხდა, რომ კინაღამ ჭკუაზე შეიშალა. როცა პირველმა შერყევამ გაიარა, ნელ-ნელა დამშვიდდა, მით უფრო, რომ არა ვითარი დანაშაული არ მიუძღოდა ქალის წინაშე. მიდრეკილება თავის მოკლისადმი წინადვე ჰქონდა ქალს განვითარებული მამის ოჯახში ყოფნის დროს. შელლიმ სიმამრს მისწერა: შვილები დამიბრუნეო, მაგრამ სიმამრმა სასამართლოს მიჰმართა, ის თხოვდა: ბავშვები ჩემთან დარჩნენ, რადგან ამათი მამა გარყვნილი და უწმუნოაო. სასამართლომ მიაქცია ყურადღება ამ თხოვნას და შევიდა იმის განხილვაში: რომელი უფრო მეტის ზნეობრივისა და გონებრივის ღირსებებით იყო დაჯილდოვებული, შელლის სიმამრი — მედუქნედ ნამყოფი კაცი, თუ თვით შელლი, ავტორი შესანიშნავის პოემისა: „დედოფალი მაბი“ და სხვათა. კანცლერმა ლორდმა ელდონმა საქმე სიმამრის სასარგებლოდ გადასწყვიტა, რადგან «მთელი ცხოვრება შელლისა მხოლოდ უზნეობას წარმოადგენდა და ამით კიდეც ამაყობდა».

ამ განაჩენის გამო შელლი კინაღამ ჭკუაზე შეიშალა... შემდეგში ამ ლორდს ლექსიც კი უძღვნა, რომელშიაც მას საშინელ წყევლასა და კრულვას უგზავნის და თან ჰგოდებს წართმეულ შვილებზე: „შხამით უნდა მოსწამლონ ლამაზი ყვავილები... ჩემი შვილები მე აღარ მეკუთვნიან»-ო.

გადაწყვეტილება სასამართლოსი შელლის დედმამაც თანაგრძნობით მიიღო.

1816 წელს მერიზე ჯვარი დაიწერა შელლიმ პრაქტიკულ მოსაზრების გამო. არსებითად კი არავითარს მნიშვნელობას არ აძლევდნენ ისინი ჯვარის წერას.

ჯვრის დაწერის შემდეგ შელლი ლონდონში დაბინავდა. აქ მეტად შეირყა ჯანმრთელობა შელლისა და ძალიან ჩქარა მოკვდებოდა, რომ ზომიერი ცხოვრება არ ჰქონოდა და თავს მეტად არ გაფრთხილებოდა. გამოაჩნდა ჭლექის ნიშნები და დასჩემდა სისუსტე ნერვებისა. ბევრჯელ ისეთნაირად აუშლებოდა ხოლმე ნერვები, ისე გაცეცხლდებოდა, რომ ნახევრად გონება-დაკარგული დაეცემოდა იატაკზე და საშინელს ტანჯვას იტანდა. ხშირად იძულებული იყო ბანგი დაელია, რომ მცირე ხნით დამშვიდებულიყო... უმთავრესი მიზეზი მისის ჯანის შერყევისა იყო ის, რომ 1816 წელს დაიწყო ღარიბ ხალხთა ბინძურ ქოხმახებში სიარული ღარიბთა მოსავლელად. ამ ქოხმახებშივე შეეყარა ციები, რომელმაც დიდხანს სტანჯა პოეტი. მეორე შედეგი ამისთანა სახლებში სიარულისა იყო— თვალის ტკივილი. 1817 წელს ისე ძალიან სტკიოდა თვალები, რომ ვერცა სწერავდა და ვერცა რას კითხულობდა... თვალები 1821 წლამდე სტკიოდა.

კაცთა სიყვარული—იყო მისი სარწმუნოება, მისი მისწრაფება და გარეშე მისსა არა სწამდა-რა. ჯერ კიდევ მარლოვში (ინგლისშია) ყოველ კვირეობით ურიგებდა ფულს გლახებს, თუმცა ძალიან მცირე ქონება ჰქონდა. ვინც მიდიოდნენ სახლში, მიდიოდნენ, ვინც არა, მათთან თვითონ მიდიოდა შელლი. ერთხელ ერთის ნაცნობის ოჯახში პოეტი ფეხშიშველი მივიდა. მეზობელს ძალიან გაუკვირდა ეს ამბავი, მაგრამ შემდეგ აღმოჩნდა, რომ შელლის თავის ფეხ-საცმელი ვიღაც ღარიბ დედაკაცისათვის ეჩუქებინა გზაზე.

ხელ-მოკლე შელლის შემოსავალი 1817 წელს ძალიან გადიდდა, რადგან მემკვიდრეობით მიიღო წოდება ბარონეტისა და ჯამაგირიც ეძლეოდა. მთელი ჯამაგირი შელლისა ღარიბთა ხელში მიდიოდა, ნამეტნავად კი შემწეობას აძლევდა ღარიბ მწერლებს და მათ ვალს ისტუმრებდა.

იმ დროს, როდესაც შელლი ინადირებდა ყოველ ღარიბთა გულს უხვის დახმარებით, მაშინ ამხედრებდა თავის წინააღმდეგ უფლება-მოსილ კაცებს, მეტადრე სარწმუნოების ბურჯთ, რომლებზედაც ითქმოდა: «სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა», იმათ შელლი ხომ წინადვე მონათლეს «ათეისტის» სახელით. შელლიმ, მუდმივ დევნით ილაჯ-გაწყვეტილმა და სასულიერო კაცებზე გაჯავრებულმა, ერთის მონასტრის კარებს მიაწერა ბერძნულად: „მე ვარ კაცობრიობის მოყვარული, დემოკრატი, მაგრამ ათეისტი.“ ცხადია, რამდენად გაცეცხლდებოდნენ ისინი, ვისაც ეს წარწერა შეეხებოდა.

1817 წელს შელლიმ გამოაქვეყნა ყმაწვილობისას დაწერილი ბროშურა: «პარლამენტის რეფორმების საჭიროება». რეფორმა, 1867 წელს შემოღებული ტორის მიერ, იგივე იყო, რასაც შელლის ბროშურა თხოულობდა. შელლის შესაძლებლად მიაჩნდა სახელმწიფოს კონსტიტუციონური მართვა-გამგეობა იგივე დარჩენილიყო, რაც მანამდე იყო, მხოლოდ საარჩევნო უფლებანი უნდა ყოფილიყო საყოველთაო. ტორიმაც ეს განახორციელა. განსხვავება იყო მხოლოდ იმაში, რომ პოეტმა გაუსწრო თანამედროვე საზოგადოებას და წინადვე მოითხოვა იმ რეფორმების შემოღება, რომლის საჭიროებაც სხვებმა მხოლოდ 50 წლის შემდეგ ძლივს დაინახეს. გენიოს კაცს ასეთ წინ-მხედველობისათვის მხოლოდ დევნა დაუწყეს...

რ. ბებიაშვილი.

(დასასრული იქნება).

19028, 1502, 17011, 3002, 8542, 16927, 1265, 1559, 559, 16489, 6574, 10490, 16302, 3210, 15672, 6017, 6222, 7126, 17497, 118, 6491, 140 8103, 18483, 15484, 7, 11139, 9750, 10405, 11019, 17664, 12593, 7986, 7917, 7106, 9238, 1526, 19170, 9772, 15040, 16704, 7547, 8285, 5709, 9983.

საღამოს დეპეშები

10 იანვარი.

პეტერბურგი. 10 იანვარს. პეტერბურგში აჯანყებულთა ბრბოსთან შეტაკება არ მოუხდა ჯარებს და ამიტომ ჯარის კაცთა რაზმებს იარაღისთვის არ მიუმართნიათ, რადგან ჯარის დანახვასთანვე ბრბო იფანტებოდა აქეთ-იქით. დღისით ნაცადი გოსტინი დვორზედ თავდასხმა თავის დროზედ ააცილეს თავიდგან. საღამო ჟამს მეამბოხეთ შეუერთდნენ საელექტრონო სადგურთა მუშები და ბნელაში ცალკ-ცალკე ჯგუფებმა იწყეს სხვა და სხვა ქუჩებში მაღაზიების ფანჯრებში შუშების ლეწვა, მაგრამ მშვიდობიანობა იქმნა აღდგენილი ყველგან. 9 იანვარს დანამღვილებული ანგარიშით მომკვდარა 96 კაცი, დაჭრილა 333 კაცი, ამათგან 58 კაცი საამბულატორო სამკურნალოებში იქმნენ მოთავსებულნი.

მოსკოვი. 10 იანვარი. მუშაობა შეაყენეს სიტინის სტამბამ, მეშჩერინოვის სამანუფაქტურო ფაბრიკამ და ბრომლეის სამექანიკო ქარხანამ. დღეს ღამით მოსკოვის ქალაქმეტის თანამდებობის აღმასრულებელმა შემდეგი განცხადება გამოჰფინა: «რადგან მოსკოვის ზოგიერთა სამრეწველო დაწესებულებაში მუშაობა მოისპო და შეიძლება ქუჩებში მოხდეს არეულობანი, როგორც ამ უკანასკნელ დროს მოხდა პეტერბურგში, ამიტომ ქალაქმეტის თანამდებობის აღმასრულებელი საჭიროდ რაცხს წინათვე გააფრთხილოს მოსკოვის მკვიდრნი. რომ ქუჩებში არავითარიმე კრება და უწესოების ჩადენა აკრძალულია და ბრბოთაგან ჩადენილ არეულობის წინააღმდეგ მივმართამთ კანონით ნებართულს სასტიკს ღონისძიებას. ქალაქმეტი სთხოვს როგორც მუშებს ეგრეთვე გარეშე მაყურებლებს, რომელნიც არ თანაუგრძნობენ წესიერების დარღვევასა, მოერიდნენ ქუჩებში შეყრილ ბრბოს და მით თავიდან აიცილონ არეულობის დასაწყნარებლად იარაღის ხმარებისა გამო მოსალოდნელი უბედურებანი».

ლონდონი. პეტერბურგიდგან მოსულმა ამბებმა დასცეს საერთოდ ღირებულება ფასიანის ქაღალდებისა ინგლისის ბირჟაზედ.

ქალკუტა. სპარსეთში გაგზავნილი ინგლისის სავაჭრო მისსია ბომბეიში დაბრუნდება, რადგან სპარსეთის ბელუჯისტანში აჯანყებამ იფეთქა და სხვა და სხვა მოდგმის ხალხი მთავრობამ უარი განაცხადეს ხარჯების გაღებაზედ და მთებში გაიხიზნენ.

პარიჟი. 10 იანვარი. სამინისტრო კრიზისი დასრულდა. დღეს რუვიემ შეკრიბა ახალი სამინისტროს წევრნი: რუვიემ იკისრა ფინანსთა მინისტრმა და მინისტრთა პრეზიდენტმა, ეტიენმა—შინაურ საქმეთა მინისტრმა, დელკასემ საგარეო საქმეთა, ბერტომ—სამხედრო, ტომსონმა—საზღვაო მინისტრმა.

ტოკიო. 10 იანვარი. ტყვეთა გაცვლა მოხერხებულ იქმნა. ოსაკაში 17,000 ტყვე იმყოფება. კამიმურა ტოკიოდგან წავიდა. საგარეო საქმეთა სამინისტროში დღეს გაცხარებული მუშაობაა. მინისტრები მალმალ იკრიბებიან. ამბობენ ჩინეთის ნეიტრალიტეტის დაცვის გამო მალე დიდმნიშვნელოვან მოქმედებას შეუდგებიანო. თუმცა ალყა შემორტყმულ პორტ არტურში სამი მილიონი მანეთი ფული იყო, მაგრამ დაპყრობის შემდეგ მხოლოდ 250,000 მანეთიღა აღმოჩნდა. გაზეთმა «ასახიმ» თავის ლიაოიანელი კორესპონდენტის წერილი გამოაქვეყნა, რომელიც რუსებს დიდ-დიდ დანაშაულებს აკისრებს. იგი ამბობს—მიშჩენკოს მიერ იერიშით მოსვლის დროს წითელ ჯვრიანი იაპონელი სანიტარი ფეხში იქმნა დაჭრილი, მაგრამ მაინც ტყვეთ წაიყვანესო. იაპონელთა სანდო გამოანგარიშებით რუსების მარჯვენა და მარცხენა ფრთებს შახესთან უკანასკნელ დღეებში 30—40 ათას კაცამდე ჯარი მოემატაო. შეამჩნიეს მრავალი ახლად მოსული ჯარი სინმინტინის მხარეს. ადმირალი კამიმურა შტაბიანად ტოკიოდგან წავიდა თავის ესკადრით დანიშნულ ადგილს. პორტ არტურის ალყის განმავლობაში იაპონელებმა დაიჭირეს 23 გემი, რომელნიც ალყის გარღვევასა ცდილობდნენ. მათში 13 რუსისა და 7 ინგლისელებისა იყო. ნადავლი ნახშირის რაოდენობა 25,000 ტონნას უდრის.

კოლომბო. 11 იანვარი. ტამატავიდგან გამოსული გერმანელთა გემი „დორტმუნდი“ გუშინ აქ მოვიდა და ამბავი მოიტანა, რომ მადაგასკართან ორი სანახშირე ინგლისელთა გემი იდგა და რუსის ბალტიის ესკადრა ახლო-მახლო არსადა სჩანდაო.

ნიუ-იორკი. 10 იანვარი. ერთი ფილადელფიის გაზეთი ამბობს, რომ გერმანიიდგან რუსეთში მრავალი ზარბაზნები უნდა გაეგზავნათო.

ბერლინი. 11 იანვარი. ლიუდვიგ ლევეს სათოფხანო ქარხანამ საჩქაროდ დაამზადა რუსის ლაშქრისათვის 500 ტყვიის მტყორცნელიო.

პეტერბურგი. ოფიციალური. უქვეშევრდომილესი დეპეშები გენერალ ადიუტანტის კუროპატკინისა 10 იანვარს 1905 წელს გამოგზავნილი: 1) „დღეს დილით ადრე შევამჩნიეთ მტრის მოწინავე ჯარების წინ წამოსვლა სოფ. სინხეჩენის მხარეს. ამას უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორებითს უდიდებულესობას“, 2) «იაპონელთა წინ წამოსვლა სინხეჩენისაკენ შედგა. ჩვენი მოწინავე ჯარის ერთმა ნაწილმა წუხელ მოიგერია სამი იერიში იაპონელებისა. დღეს დილით მეოთხედ მოგერებულნი იაპონელნი უკან გაბრუნდნენ და 2 დაჭრილი დასტოვეს, 8 იანვარს ღამით მოხალისეთა მიერ ზვერვის დროს მოკვიკლეს პოდპორუჩიკი ნაზაროვი; მისი გვამი იაპონელებმა გაიტაცეს, მაგრამ ხუთი მოხალისე, ფელდფებელის ფედოროვის უფროსობით გამოუდგნენ იაპონელებს და რამდენიმე სროლის შემდეგ იაპონელებმა დააგდეს ნაზაროვის გვამი და გაიქცნენ. ეფრეიტორმა როგოვცოვმა წამოიკიდა ზურგზედ ნაზაროვის გვამი წამოიღო, თუმცა მტერი თოფს უშენდა. ამას უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს უდიდებულესობასა».

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

გამოსადეგი ცნობანი:

პეტერბურგის ბირჟა

30 დეკემბერს 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,95
ბერლინში 100 მარკაში	46,00
პარიჟში 100 ფრანკში	37,35
ლონდონში ჩეკები	94,65
ბერლინში „	46,30
პარიჟში „	37,62½
ბირჟის დისკონტი	6—7½%
4% სახელმწიფო რენტა	89⅜ ნ. გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	87 ყიდ.
5% პირ. შინაგ. მომგ.ბილ. 1864 წ.	419 ნაყ
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	325¼ წ. გაყ.
5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	265½ წ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	82¼ ყიდ.
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	82½ ყიდ.
4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—

განცხადებანი

ქართველნი მკურნალნი:

გედევანიშვილი მიხეილ,—ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე, იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესობრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველდღე, ნაშუადღევს 5 საათიდან 6-მდე. ოლღას ქუჩა, № 15.

დიასამიძე ალექსანდრე,—დოროსმელიქოვის და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ მესხიშვილის სახლი, № 18, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და საღამოთი 6—8-დე.

კბილის ექიმი ნ. ტ ყუშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდამ საღამოს 5 საათ., ოლღას ქუჩა, № 31.

პ. ს. მუსხელაშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 ს., გარდა სამშაბათისა.

ვაჩნაძე სპირიდონ. პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

ბძელიშვილი კონსტანტინე ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა, № 5

გაბაშვილი გრიგოლ,—კოჩუბეის ქუჩა № 19

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ყ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. აგეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

ე. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

მ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. ქარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

გ. ხოლოდაშვილი. 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

ქალი ექიმი **ა. ი. ფხერბინინა.** 1½—2 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

საღამოობით:

მ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

პ. ა. არდაზიანი. აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას 5—7 საათ.

ხ. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардина.* **Тифлисъ противъ памятн. Воронцова.** წლ.

წყნეთის ქუჩის თავში, გაბაშვილის სახლში, სადაც მილის წყლის ონკანია გაიმართა

საგასტრონომიო მაღაზია

გერმანია

იყიდება საუკეთესო საუზმეულობა, თევზეული და შემწვარ-მოხარშული ქათამი და ინდოური. შეიძლება შემოკვეთა ინდოურისა დამდეგ ბედნიერ დღეებისათვის.

(5—4)

გამოვიდა გასასყიდად ახალი წიგნი

„ბრძოლა ჩვენს პრესასა

და

საზოგადოებაში შეპარულ შეცდომა-ნაკლულევანებთან“.

თხზ. ტ. ართმელაძისა, მრავალი საგულისხმო წერილებით, მაგალითად: ჩვენებური ჟურნალ-გაზეთობა და მათი სიყალბე; რა საშუალებას ხმარობენ ჩვენებური ჟურნალ-გაზეთები სიმართლის გამოსარკვევად? რა არის კრიტიკა და როგორ უნდა მოქმედებდეს იგი? ნოე ჟორდანიას წერილი ჩვენებური პრესსის შესახებ და ბ. ახალ-მოსულის კრიტიკა; რა სთქვა აკაკიმ ქუთაისის თ.-აზნ. კრებაზედ და რანაირად გადაამახინჯა იგი ბ-ნმა მოსაუბრემ და სხვანი... 160 გვ. ფასი გაგზავნით 35 კაპ. წიგნებით მოვაჭრეებს დაეთმობა 30%. ადრესი: въ Тифлисъ, Редакція „Могзаури“.

პირველად ქართულს ენაზე

ყველასათვის **საჭირო** და **სასარგებლო** წიგნი

უცხო სიტყვათა ლექსიკონი

რომელშიაც შეკრებილი და განმარტებულია ათი-ათასამდე უცხო სიტყვა ყველასთვის გასაგების ენითა და მაგალითებით, რუსულის და უცხო ენათა უკეთესი ლექსიკონებისა, სამეცნიერო წიგნებისა და ჩვენის ჟურნალ-გაზეთებიდან გამოკრებილ-შედგენილი იოსებ იმედაშვილის-მიერ. წიგნს დართულ აქვს ლათინური, ფრანგული, ინგლისური და სხ. **«უცხო ანდაზები და წინადადებანი»,** რომლებიც ერთ გზის იხმარება ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში. წიგნი შეიცავს 1130 გვერდს, დაბეჭდილია სუფთად, კარგს ქაღალდზედ და ჰღირს მხოლოდ ერთი მან., ჩვეულებრივის ყდით 1 მ. და 15 კაპ., საუცხოვო (ოქროს ვარაყიან ასოებით დაბეჭდილი) კალენკორის ყდით მანეთ-ნახევარი. გასაგზავნი ხარჯი 20 კაპ.; წიგნი ფას-დადებითაც (**съ налож. п**...) შეიძლება გაიწეროს. უმთავრესი საწყობია ტფილისში, ქაშვეთის ქუჩაზე, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, გამომცემლის წიგნთ-სავაჭროში. ადრესი: **Тифлисъ. Книжная торговля, Іос. Зах. Имедашвили.**

(10—10)

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1905 Г.

на большую ежедневную съ полной программой, выходящую въ Баку, газету

„БАКИНСКІЯ ИЗВѢСТІЯ“

(ЧЕТВЕРТЫЙ ГОДЪ ИЗДАНІЯ).

ВЪ ГАЗЕТѢ ОБѢЩАЛИ УЧАСТІЕ:

С. Ф. А-фъ, Н. П. Ашешовъ, Е. З. Барановъ, П. А. Берлинъ, В. Богучарскій (В. Я. Яковлевъ) Mr. Broun, Б. К. Бухъ, Х. С. Варданянъ, П. А. Васильевъ, Ведребисели, (Д. К. Маліева), Ю. А. Веселовскій, В. С. Вейншалъ, К. Воиновъ, Вѣди-Азъ, Горичъ, М. М. Гутманъ, В. А. Евангулова, В. И. Ивинскій, (Борскій), А. С. Изгоевъ, М. В. Кечеджи-Шаповаловъ, Н. П. Козеренко, А. Котельниковъ, М. Меликъ-Шахназаровъ, Мечтатель (Ѳ. Ѳ. Трозинеръ), А. Новиковъ, Н. А. Падаринъ, А. Б. Петрищевъ, Конст. М. Пономаревъ, Н. Семеновъ, С. С. Семеновъ, Орестъ Семинъ, А. С. Склярь, М. А. Славинскій, М. Ф. Славинская, д-ръ Л. Соколовскій, Ю. Стекловъ, В. Ѳ. Тотомянцъ, А. Финнъ, Б. І. Харитонъ, Г. И. Шрейдеръ, И. И. Шрейдеръ, Эненъ, Эхо и др.

Газета имѣетъ собственныхъ корреспондентовъ въ крупныхъ городахъ Кавказскаго края, а также въ С.-Петербургѣ, Москвѣ и заграницей.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

	Для городскихъ подписчиковъ	Для Чер. гор., Баилова, Балахан. и иногород. подписчиковъ
На годъ	7 р. — к.	8 р. 50 к.
На 6 мѣсяцевъ	4 „ — „	5 „ — „
На 3 мѣсяца	2 „ 50 „	3 „ — „
На 1 мѣсяцъ	1 „ — „	1 „ 50 „

Для годовыхъ подписчиковъ допускается разсрочка.

	Для городск.	Для иногород.
При подпискѣ	3 р.	3 р. 50 к.
Къ 1 апрѣля	2 „	3 „ —
Къ 1 іюля	2 „	2 „ —

Годовые подписчики на 1905 г., внесшіе при подпискѣ полностью всю подписную сумму, получаютъ въ 1904 г. газету, со дня подписки БЕЗПЛАТНО.

(3—ɜ—3). Редакторъ-издатель *Н. А. Гриневъ.*

ახალი საყმაწვილო ჟურნალი

„ნ ა კ ა დ უ ლ ი“

ს უ რ ა თ ე ბ ი თ

გამოიცემა მცირე წლოვან და მოზრდილ ყრმათათვის

თვეში სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის, პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.

წელიწადი იანგარიშება 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე.

ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა ღირს წელიწადში 5 მან. ცალ-ცალკე 3 მან., ნახევარის წლით ორივე გამოცემა 2 მან. 50 კაპ.; ხელის მომწერს შეუძლიან თვეში თითო მანეთიც შემოიტანოს. ფასი თითო ნომრისა: მოზრდილთა ჟურნალი—25 კ., მცირე-წლოვან ყრმათა—15 კაპ.

რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ქუჩ., № 5, სახლი პოპოვისა, სადგომი მარიამ ივანეს ასულის დემურიასი.

ხელის მოწერა მიიღება: რედაქციაში, „წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიაში და ჟურნალის აგენტებთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція журнала «НАКАДУЛИ».

Открыта подписка на 1905 годъ, XII годъ изданія,

НА ЕЖЕНЕДѢЛЬНУЮ ГАЗЕТУ

„КАВКАЗСКОЕ СЕЛЬСКОЕ ХОЗЯЙСТВО“

органъ Императорскаго Кавказскаго Общества Сельскаго Хозяйства,

Газета выходитъ по четвергамъ, безъ предварительной цензуры,

ПО СЛѢДУЮЩЕЙ ПРОГРАМѢ:

1. Руководящія статьи по техническимъ и экономическимъ вопросамъ сельскаго хозяйства Кавказа. 2. Популярныя статьи (оригинальныя и переводныя) по полеводству, молочному хозяйству, садоводству, виноградарству и виноделію, шелководству, лѣсоводству, техническимъ производствамъ и проч. 3. Хроника и корреспонденціи. 4. Отчеты хозяевъ о произведенныхъ ими въ своихъ хозяйствахъ опытахъ и наблюденіяхъ. 5. Обзоръ литературы, русской и иностранной, по вопросамъ, относящимся къ Кавказу. 6. Сельско-хозяйственныя статистическія и рыночныя свѣдѣнія о производствѣ и потребленіи сельскохозяйственныхъ продуктовъ, о видахъ на урожай, о цѣнахъ на продукты; тарифы. 7. Правительственныя распоряженія. 8. Протоколы, доклады и отчеты Общества и его органовъ. 9. Критика и библіографія. 10. Вопросы и отвѣты. 11. Сельскохозяйственный календарь. 12. Домоводство. 13. Справочный указатель. 14. Смѣсь. 15. Метеорологическія наблюденія. 16. Объявленія.

ЗАДАЧА ГАЗЕТЫ заключается въ установленіи болѣе живой и тѣсной связи между обществомъ сельскаго хозяйства и хозяевами Кавказа, съ цѣлью, во первыхъ, совмѣстной разработки сельскохозяйственныхъ вопросовъ Кавказа и, во вторыхъ, распространенія среди населенія необходимыхъ сельскохозяйственныхъ знаній.

Въ отдѣлѣ „Вопросы и отвѣты“ газета, при содѣйствіи специіалистовъ, будетъ своевременно давать хозяевамъ отвѣты на тѣ вопросы, съ которыми они будутъ обращаться въ редакцію или бюро Общества сельскаго хозяйства.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА съ доставкой и пересылкой: на годъ—4 руб., полгода—2 руб., ¼ года—1 руб. и 1 мѣсяцъ—40 к.

ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ въ Тифлисѣ, въ редак. „Кавк. Сельск. Хоз.“ Барятинская улица, собственный домъ.

(3—ɜ—3) Отвѣтственный редакторъ *А. А. Калантаръ*

Дозволено цензурою Тифлисъ, 11 января, 1904 г. Тип. Е. И. Хеладзе. Русск. базаръ домъ арм. семинаріи.